საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე: ქალაქ თბილისში, ვარკეთილის-3, IIIა მ/რ, კორ. №337-ის მიმდებარედ, შ.პ.ს. "ოცნების სახლი"-ს საკუთრებაში არსებულ 2379კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 01.19.39.012/056), თორმეტსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის, საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ანგარიში.

შ.პ.ს. "ოცნების სახლი"-ს ადმინისტრაციის მომართვის საფუძველზე, ჩვენს მიერ 2021 წლის ივნისის თვეში, შემოწმებული იქნა, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის-3, IIIა მ/რ, კორ. №337-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, თორმეტსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ საკვლევ მოედანზე, ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის-3, IIIა მ/რ, კორ. №337-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, თორმეტსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ საკვლევ მოედანზე, ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა, საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია, ინჟინერ გეოლოგის ოთარ ხიზანიშვილის მიერ 2021 წლის მაისში, სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟინერ გეოლოგი ო. ხიზანიშვილი, მის მიერ არის შესრულებული გრუნტების თვისებათა გამოკვლევა.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე 17 გვ.
2. ტექნიკური დავალება 1 გვ
3. ცხრილები გრუნტების თვისებებზე 12 გვ.
4. მოედნის ტოპოგეგმა 1 გვ.
5. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტი 3 გვ.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს, თორმეტსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

საკვლევი მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების, დადგენისათვის,

“უგბ-1ვს” ტიპის საბურღი დანადგარით, გაბურღილი იქნა 10.50მ-მდე სიღრმის სამი ჭაბურღილი. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ექვსი დაურღვეველი და რვა დარღვეული სტრუქტურის ნიმუშები, გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, სამშენებლო მოედანზე, გეოლოგიურ ჭრილში, გამოყოფილი იქნა ფუძე გრუნტის სამი ფენა:

1. ფენა 3 დელუვიური თიხა dQ_{IV}.
2. ფენა 4 ალუვიური კენჭნარი alQ_{IV}.
3. ფენა 6 სუსტად გამოფიტული, საშუალოშრეებრივი ქვიშაქვებისა და თხელშრეებრივი არგილიტების მორიგეობის წყება P_2.

ანგარიშში მოცემულია ფენა 3-ის 4-ის და ფენა 5-ის დახასიათება და მათი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის-3, IIIა მ/რ, კორ. №337-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, თორმეტსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ საკვლევ მოედანზე, აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ჩვენს მიერ გამოთქმული ცალკეული შენიშვნები ავტორის მიერ მიღებული იქნა მხედველობაში და ანგარიშში შეტანილია კორექტივები. ამრიგად წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება საფუძვლად დაედოს, თორმეტსართულიანი, მრავალბინიანი, საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროექტს, საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებელი მშენებელი

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. გ. ჭოხონელიძე